



**სახელმწიფო საქმეუწყებო დაწესებულება
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის
სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველო**



DES 9 21 00043469



16/07/2021

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ ვენერა მეტრეველს

ქალბატონო ვენერა,

გაცნობებთ, რომ 2021 წლის 10 ივლისს საინფორმაციო საშუალებით (სატელევიზო ეთერში - „მთავარ არხზე“) გავრცელებული ინფორმაციისა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონულ სამმართველოში 2021 წლის 12 ივლისს შსს მარტვილის პოლიციის განყოფილებიდან შემოსული შეტყობინების საფუძველზე, რომელიც შეეხება შპს „მარტ-სტოუნი“-ს მიერ მარტვილის მუნიციპალიტეტში წაჩხურუს მონასტრის მიმდებარედ არსებული ჩანჩქერის გადაკეტვის ფაქტს, ჩვენს მიერ მიმდინარე წლის 11 ივლისს დათვალიერებულ იქნა, როგორც წყალაღების, ასევე შპს „მარტ-სტოუნი“-ს საწარმოს ტერიტორია.

- შპს „მარტ-სტოუნი“-ს მიერ მომზადებულ გარემოზე ზემოქმედების ანგარიშში მითითებულია, რომ წყალაღება განხორციელდება საწარმოდან 2700 მ მანძილით დაშორებულ ბუნებრივი ხევიდან, სადაც მიედინება წაჩხურუს დედა. წყალაღების მიზნით ხევის ნაპირთან გრუნტში მოწყობილია 200 ლიტრი მოცულობის რკინის ავზი, რომლის შევსება მოხდება ბუნებრივად, კასრის ბოლოში მოწყობილია მილი 75 მმ დიამეტრით, რომელიც უკავშირდება საწარმოს. გზშ-ში განხილული ჰიდროლოგიური რეჟიმით წაჩხურუს დედას საშუალო მრავალწლიური ხარჯი 4,23 მ³/წმ-ია, ხოლო საწარმოს წყალაღების მაქსიმალური ხარჯი-0,007 მ³/წმ-ია, რაც ხევის საშუალო მრავალწლიური ხარჯის 0,16%-ია. საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის წარმადობა 240ტ/სთ-ია, რისთვისაც საჭიროებს 25 მ3/სთ წყალს, თუმცა საწარმო გეგმავს იმუშაოს 55ტ/სთ წარმადობით და ამ შემთხვევაში საჭირო იქნება მაქსიმუმ 18,15 მ3/სთ წყალი,



რაც შეადგენს დელეს ხარჯის 0,005 მ3/წმ-ს. გამომდინარე აქედან საწარმოს მიერ წაჩხურუს დელედან აღებული წყალი დელეს ხარჯის მხოლოდ 0,12%-ია. გზშ-ში მითითებულია წყალაღების GPS კოორდინატები: X-282262 Y-4715803.

ადგილმდებარეობის დათვალიერების შედეგად გამოვლინდა შემდეგი:

წყალაღების ტერიტორია მდებარეობს მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურში, რომელიც მოქცეულია ორ ხეობას შორის. სათავე, საიდანაც იწყება საწარმოს მიერ წყალაღება, გამტარი კალაპოტი ჩახერგილია ქვითა და ხის ტოტებით, მოწყობილია დამბის ტიპის ნაგებობა (ქვები მოთავსებულია რკინის ბადეში). დამბიდან გამოსული წყალი მიედინება 2 მიმართულებით: ერთი მიმართულებით მიდის 200 მმ-იანი მილით და ჩადის ამოზეტონებულ წყლის შემკრებ ავზში, რომლის პარამეტრებია: სიგრძე-2,20 მ, სიგანე-1,40 მ, სიღრმე-0,55 მ. ხოლო მეორე მიმართულებით, დამბიდან გამომავალი წყალი სხვადასხვა ლოკაციაზე ჩადებული 65 მმ-იანი 4 მილის საშუალებით ჩადის 200 ლიტრიან რკინის ავზში. ორივე ზემოაღნიშნული ავზიდან გამომავალი წყალი ერთიანდება ერთ წერტილში 2 მილის შეერთებით და საბოლოოდ ერთი მილის საშუალებით ჩადინება საწარმომდე მოწყობილ 20 ტონიან რკინის ავზში, საიდანაც წყალი მიეწოდება საწარმოს. ავზს არ გააჩნია გადაკეტვის სისტემა, წყალი უწყვეტად ჩადის ავზში და მუდმივად შევსებულ მდგომარეობაშია. გადავსებული ავზიდან ზედმეტი წყალი იღვრება ადგილზე (საწარმომდე რამდენიმე კილომეტრის დაშორებით), ავზი განთავსებულია მიწის ნაკვეთზე ს.კ 41.14.31.162. დათვალიერებისას წყალაღების ადგილზე აღებულ იქნა GPS კოორდინატები: X-282183 Y-4715780, რაც გზშ-ში მითითებული კოორდინატიდან (X-282262 Y-4715803) 84 მეტრითაა დაშორებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სათავედან გამომავალი წყალი, ჩანჩქერისკენ მიმავალი კალაპოტის გვერდის ავლით სრულად (უდანაკარგოდ) მიმართება საწარმოში და წაჩხურუს ხევიდან წყლის ნაკადი ვერ აღწევს ჩანჩქერამდე, ამდენად გზშ-ში მითითებული ასათვისებელი წყლის ხარჯის 0,12 %-ის ნაცვლად სრულად ხდება მისი ათვისება, რითაც ირკვევა, რომ გარემოზე ზემოქმედების ანგარიშში მითითებული მონაცემები წყალაღებასთან დაკავშირებით არ შეესაბამება ადგილზე არსებულ მდგომარეობას.

შპს "მარტ-სტოუნი" კირქვის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმო დათვალიერებისას არ მუშაობდა, ხოლო ტერიტორიაზე განთავსებული იყო მოპოვებული კირქვა და სხვადასხვა ფრაქციებად დამუშავებული პროდუქცია.

აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარეობს საკითხის დეტალური შესწავლა და შესაბამისად გატარდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

დანართი: 05 ფურცელი და ფოტომასალა.

პატივისცემით,

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის
სამინისტრო/ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის
დეპარტამენტი/
სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული
სამმართველოს უფროსის დროებითი ფუნქციების
შემსრულებელი
ივანიშვილი მინდია

